სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

10 დეკემბერი 2025

N 763/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თიანეთის მუნიციპალიტეტის ჩეკურაანთგორის, სიმონიანთხევის, ხევსურთსოფელის, ღულელების, ნაქალაქარის, დაბა სიონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების და მათი მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტზე რეკომენდაციების გაცემის შესახებ

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" (შემდგომ - კოდექსი) გათვალისწინებული რეკომენდაციების მიღების მიზნით, 2025 წლის 29 მაისს, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) წარმოადგინა სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი - თიანეთის მუნიციპალიტეტის ჩეკურაანთგორის, სიმონიანთხევის, ხევსურთსოფელის, ღულელების, ნაქალაქარის, დაბა სიონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების და მათი მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების გეგმა (შემდგომ - სდგ) და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (შემდგომ - სგშ) ანგარიში, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად.

კოდექსის შესაბამისად, წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი და სგშ-ის ანგარიში, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე (https://ei.gov.ge/ka/info/ed09b4d8-310a-4541-b298-04d12f776581). აღნიშნული დოკუმენტაცია გაეგზავნა თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიას, შესაბამის საინფორმაციო დაფასა და ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების მიზნით.

თიანეთის მუნიციპალიტეტის ჩეკურაანთგორის, სიმონიანთხევის, ხევსურთსოფელის, ღულელების, ნაქალაქარის, დაბა სიონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების და მათი მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების გეგმის პროექტსა და სგშ-ის სკოპინგის განცხადებაზე სააგენტოს 06.08.2024 წლის №417/ს ბრძანებით გაიცა სგშ-ის სკოპინგის დასკვნა.

თიანეთის მუნიციპალიტეტის ჩეკურაანთგორის, სიმონიანთხევის, ხევსურთსოფელის, ღულელების, ნაქალაქარის, დაბა სიონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების და მათი მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების გეგმის (შემდგომ - სდგ) სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტზე ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, სააგენტოს (09.06.2025 №282/ს და 05.11.2025 №692/ს) ბრძანებების საფუძველზე შეიქმნა შესაბამისი საექსპერტო კომისიები.

სგშ-ის ანგარიშისა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სააგენტოს მოთხოვნით (№21/8683; 04.09.2025) სსიპ სივრცითი

და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ 2025 წლის 30 ოქტომბრის (სააგენტოს №10746) წერილით წარმოდგენილ იქნა მოთხოვნილი ინფორმაცია, რაც ასევე განხილული იქნა საექსპერტო კომისიის მიერ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასევე განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და საზოგადოებას განესაზღვრა ვადა, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით.

სგშ-ის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას - დამგეგმავი ორგანოს, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებით გათვალისწინებული პროცედურებისა და დოკუმენტით განსაზღვრული ღონისძიებების შესახებ. სგშ-ის ანგარიშში მოცემულია სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების საფუძველი და მიზნები, განხორციელების არეალი, ასევე განხილულია სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებთან მიმართება.

გეგმარებითი ერთეული წარმოადგენს თიანეთის მუნიციპალიტეტის ჩეკურაანთგორის, სიმონიანთხევის, ხევსურთსოფელის, ღულელების, ნაქალაქარის, დაბა სიონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებს და მათ მიმდებარე ტერიტორიებს. გეგმარებითი ტერიტორიის (15 297.3 ჰა) უდიდესი ნაწილი უშენი ტერიტორიაა (დაახლოებით 13 387.018 ჰა), რაც საპროექტო არეალის 87%-ს შეადგენს, ხოლო ნაშენი ტერიტორიის ფართობი 1 910.2 ჰექტარია - საპროექტო არეალის 13%.

სგშ-ის ანგარიშის თანახმად, გეგმარებითი ერთეულის ტერიტორია მოიცავს ექვსი თემის 43 სოფელს. ექვსი თემიდან სრულად ექცევა მხოლოდ ხევსურთსოფელის ადმინისტრაციული ერთეული. დანარჩენი თემები არეალში შედის ნაწილობრივ.

დოკუმენტის თანახმად, გეგმარებით ერთეულს თავისი გეოგრაფიული მონაცემებით (სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პოტენციალი), კლიმატურ-კურორტოლოგიური თვალსაზრისით (თბილისის ეროვნული პარკის სიახლოვე, სიონის წყალსაცავი, დიდი რაოდენობით ლანდშაფტური ტერიტორიები) და საკურორტო-სარეკრეაციო პოტენციალით, თიანეთის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია.

სგშ-ის ანგარიშის თანახმად, თიანეთის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისას განხილულია სამი ალტერნატივა:

ნულოვანი ალტერნატივა წარმოადგენს სდგ-ის განხორციელებაზე უარის თქმას და საპროექტო ტერიტორიის განვითარებას თვითდინებით/ქაოტურად.

სკოპინგის დროს წარმოდგენილი ორი ალტერნატივიდან მოხდა მათი შეჯერება და ერთ ხედვად ჩამოყალიბება, შესაბამისად სდგ-ის პროექტი წარმოადგენს აღნიშნული ორი ალტერნატივის სინთეზს, რომლის თანახმად, გეგმარებითი ერთეულის განვითარება ჩამოყალიბდა შემდეგი ძირითადი ვექტორების გათვალისწინებით:

1. სოფელ დევენაანთხევის ლოგისტიკურ, სოციალურ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ჰაბად ჩამოყალიბება;
2. ე.წ. „შავი მიწის“ შენარჩუნების მიზნით, ერწოს ქვაბულის ტერიტორიაზე განსაკუთრებული აგრარული მნიშვნელობის არეალის დადგენა, რომელიც ზღუდავს სამშენებლო განვითარებას და ემსახურება მიწის ნაკვეთების მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დამუშავებით გამოყენებას;
3. გეგმარებითი ერთეულის სამხრეთით სააგარაკე კლასტერში არსებული დასახლებული პუნქტების სიახლოვეს გამოყოფილი A სარეზერვო არეალების განაშენიანების დეტალური გეგმების საფუძველზე განვითარება;
4. სიონის წყალსაცავის დასავლეთ ტერიტორიაზე სააგარაკე დანიშნულების A’ სარეზერვო არეალების განაშენიანების დეტალური გეგმებისა და მათთვის დადგენილი საკვლევი არეალების საფუძველზე განვითარება;

5. ერწოს ქვაბულის პერიმეტრზე, განაშენიანების შემზღუდავი არეალების გათვალისწინებით, გამოყოფილი B სარეზერვო არეალების შერეული მიზნობრიობით (სასოფლო-სამეურნეო და საკარმიდამო) განაშენიანების დეტალური გეგმების საფუძველზე განვითარება შემდეგი პროცენტული განაწილებით: გდგ-ს გეგმარებითი ერთეულის არანაკლებ 80%-ის განვითარება უნდა განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო ფუნქციით; 15%-ის განვითარება დასაშვებია საკარმიდამო ფუნქციით; დარჩენილი 5% მთლიანად ან ნაწილობრივ შესაძლებელია განვითარდეს სასოფლო-სამეურნეო ან საკარმიდამო ფუნქციით (დაგეგმვაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით);
6. გეგმარებითი ერთეულის ჩრდილოეთ ტერიტორიაზე, ჩეკურაანთგორის თემის ტერიტორიასა და დაბა სიონსა და სოფელ ორხევს შორის არსებულ ტერიტორიაზე სამოსახლო მიზნობრიობით C სარეზერვო არეალების განაშენიანების დეტალური გეგმების საფუძველზე განვითარება;
7. გეგმარებითი ერთეულის სამხრეთ-აღმოსავლეთით ერთიანი სარეზერვო D არეალის გამოყოფა, სადაც განვითარება დასაშვებია, როგორც წერტილოვნად ასევე ერთიანი კონცეფციის, განაშენიანების დეტალური გეგმების საფუძველზე;
8. სიონის წყალსაცავის თაობაზე მელიორაციასა და მუნიციპალიტეტს შორის მემორანდუმის გაფორმება - დაბა სიონის ტურისტული მიზიდულობის ცენტრად ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
9. სიონის წყალსაცავის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიის სპეციალური რეგულირების არეალად განსაზღვრა;
10. სიონის წყალსაცავის სამხრეთ-დასავლეთით არსებული ტერიტორიის ლანდშაფტურ ტყე-პარკად ჩამოყალიბება და მისი დაკავშირება თბილისის ეროვნულ პარკთან მწვანე სარტყელის საშუალებით.

სგშ-ის ანგარიშის მიხედვით, სივრცის დაგეგმარების გეგმის პროექტის განხორციელებას ნულოვან ალტერნატივასთან შედარებით მრავალი უპირატესობა აქვს. შესაბამისად, სტრატეგიულ დოკუმენტზე უარის თქმა მნიშვნელოვნად შეაფერხებს საპროექტო არეალის განვითარებას, რადგან სივრცის დაგეგმარების გეგმა მოიცავს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, დამატებით მწვანე სივრცეების გაჩენას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, აგრარული მნიშვნელობის არეალების გაჩენას, რაც თავის მხრივ გამოიწვევს მუნიციპალიტეტის მდგრად განვითარებას.

დოკუმენტის თანახმად, ტერიტორიაზე ფართო გავრცელებით სარგებლობს მეწყრული და ჩამოქცევა-მეწყრული მასების მძლავრი დანაგროვები, რომლებიც ხელს უწყობს მეწყრულ-ბორცვიანი და საფეხურისებრი რელიეფის ფორმირებას. ბოლო პერიოდში გახშირებულია ისეთი საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება-გააქტიურება, როგორებიცაა: ეროზიული პროცესები, მეწყერები, ღვარცოფები, კლდეზვავები, წყალდიდობები.

სგშ-ის ანგარიშის თანახმად, მდინარეთა ხეობების ფერდობებზე დიდი რაოდენობითაა დაგროვებული გამოფიტული და ნაშალი მასალა, მოსალოდნელია ღვარცოფული, მეწყრული და დახრამვითი ეროზიები. პროცესების გააქტიურება მოსალოდნელია ცალკეულ სოფლებში და სიონის წყალსაცავის მიმდებარედ.

სგშ-ის ანგარიშის თანახმად, გამოყოფილია გეგმარებითი ერთეულის ტერიტორიის ეგზოგეოდინამიკური საფრთხეების რისკის დაბალი, საშუალო და მაღალი საფრთხის შემცველი ტერიტორიები.

დაბალი საფრთხის შემცველი ტერიტორია (თიანეთისა და ერწოს მთათაშორის ტექტოგენურ-აკუმულაციური ქვაბული) გამოყოფილია ძირითადად სწორი, უმნიშვნელო დანაწევრების მქონე რელიეფზე, სადაც ძირითადად დაფიქსირებულია ეროზიის პროცესი. საშუალო საფრთხის შემცველ ტერიტორიაზე რელიეფი სუსტადაა დანაწევრებული და მიწისქვეშა წყლები შედარებით ახლოსაა ზედაპირთან. შეიმჩნევა ხევებში მიმდინარე ეროზიული და ღვარცოფული პროცესები, ასევე მეოთხეული

საფარის მცირე სიმძლავრის მეწყრული პროცესები და პერიოდული წყალმოვარდნები. მაღალი საფრთხის შემცველ ტერიტორიაზე რელიეფი საკმაოდ დანაწევრებულია, ჭარბობს კენჭნარი და ლოდები ქვიშითა და ხრეშით, სწორედ ასეთი გრუნტები განაპირობებენ ქვათაცვენას და მეწყრულ პროცესებს.

სგშ-ის ანგარის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო არეალის ლითოლოგიურ-ტექტონიკური აგებულება, გეომორფოლოგია, ჰიდროგეოლოგიური პირობები და სხვა ბუნებრივი თუ ანთროპოგენური ფაქტორები მრავალმხრივია, საპროექტო არეალი არ ხასიათდება განსაკუთრებულად რთული მეწყრული, ღვარცოფული, კლდეზვავ-ქვათაცვენის, მდინარეთა ნაპირების გარეცხვის პროცესების საინჟინრო-გეოლოგიური პირობებით, თუმცა მომავალში საჭირო იქნება დამატებითი სიღრმისეული კვლევების ჩატარება არა მარტო სამშენებლო, არამედ მიმდებარე ტერიტორიებზე, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს პრევენციული და დამცავი ღონისძიებების შემუშავება, რამაც უნდა განაპირობოს ინფრასტრუქტურული ობიექტების გრძელვადიანი ფუნქციონირება და არ გამოიწვიოს საშიში სტიქიური გეოლოგიური მოვლენების და ანთროპოგენური (ტექნოგენური) პროცესების შედეგად გამოწვეული დამანგრეველი შედეგები.

სგშ-ის ანგარიშის თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ეტაპზე, ინფრასტრუქტურული ობიექტების და საცხოვრებელი ნაგებობების მშენებლობისას, აუცილებელია დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, ჰიდროლოგიური და ეკოლოგიური კვლევები, რის საფუძველზეც მომზადდება სათანადო პროექტები კონკრეტული ობიექტებისათვის.

სდგ-ის თანახმად, გეგმარებითი არეალის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს ან ესაზღვრება ბუნებრივ ლანდშაფტებს, რაც მუნიციპალიტეტში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების კარგ შესაძლებლობას იძლევა.

სგშ-ის ანგარიშის მიხედვით, გეგმარებითი ერთეულის ტერიტორიაზე დაცული ტერიტორიები არ ფიქსირდება, თუმცა იგი ესაზღვრება თბილისის ეროვნულ პარკს. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ტყის, თიანეთის სატყეო უბნის, თიანეთის, სიმონიანთხევის, ღულელების, ბოჭორმისა და სიონის სატყეო უბნები.

თავდაპირველად წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია ორ მონაკვეთში მცირედით კვეთდა ზურმუხტის ქსელით დამტკიცებულ საიტს - ქისტაურის (GE0000055), ხოლო დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, განხორციელდა საპროექტო ტერიტორიის უმნიშვნელო ცვლილება, რომლის მიხედვითაც საპროექტო ტერიტორია აღარ კვეთს დამტკიცებულ საიტს.

სივრცის დაგეგმარების გეგმის თანახმად, წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიის სივრცითი კატეგორიები და ქვეკატეგორიები, რომლებიც ასევე მოიცავს A, A`, B, C და D სარეზერვო არეალებს, ერწოს ქვაბულში განსაკუთრებული აგრარული მნიშვნელობის არეალს, ლანდშაფტურ ტყე-პარკსა და სიონის წყალსაცავის ჩრდილო-აღმოსავლეთით გამოყოფილ სპეციალური რეგულირების არეალს.

სდგ-ის პროექტის თანახმად, ლანდშაფტური ტყე-პარკისათვის გამოყოფილია სიონის წყალსაცავის სამხრეთ-დასავლეთით არსებული ტერიტორია 1 565.93 ჰა, არსებული მცენარეული საფარის გათვალისწინებით ლანდშაფტური ტყე-პარკის მოწყობა სიონის წყალსაცავის სამხრეთით არ მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს. შესაძლებელია კორომისგან თავისუფალი ტერიტორიების ხელოვნური გატყიანება. ტყე-პარკის არეალში დაუშვებელია სამშენებლო განვითარება. დასაშვებია მხოლოდ საპიკნიკე ადგილების მოწყობა, საფეხმავლო ბილიკების ორგანიზება და რიგ შემთხვევებში რეკომენდირებულია სამთო ველობილიკების მოწყობა.

სგშ-ის ანგარიშში განხილულია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედებები გარემოს სხვადასხვა რეცეპტორებზე (ატმოსფერული ჰაერი, წყლის გარემო, ნიადაგი და გრუნტი, ბიომრავალფეროვნება, ლანდშაფტი, დაცული ტერიტორიები), ასევე, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე, ტურიზმზე, სოფლის მეურნეობაზე და სოციალურ გარემოზე.

სგშ-ის ანგარიშის თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება დროის გარკვეული პერიოდით და სხვადასხვა ხარისხით უარყოფით ზეგავლენას იქონიებს გარემოს კომპონენტებზე. ზემოქმედების ხანგრძლივობა დამოკიდებული იქნება განაშენიანების გეგმის ხედვების განხორციელების პერიოდთან. გარდა უარყოფითი ზემოქმედებისა, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება შედარებით უფრო მაღალი ხარისხისა და ხანგრძლივობის დადებითი ეფექტის მომტანია. სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებას არ ექნება ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება.

სგშ-ის ანგარიშში ასახულია ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციისა და თავიდან აცილების რეკომენდაციები/შემარბილებელი ღონისძიებები, ასევე მონიტორინგს დაქვემდებარებული საკითხების შესახებ და წარმოდგენილია სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების გეგმა-გრაფიკი.

დამგეგმავი ორგანოს (სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო) ორგანიზებით, სგშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 11 ივლისს, ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს, "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის" საპროექტო ჯგუფი, თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და დაინტერესებული უწყებების წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან სგშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. ამასთან, საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

თიანეთის მუნიციპალიტეტის ჩეკურაანთგორის, სიმონიანთხევის, ხევსურთსოფელის, ღულელების, ნაქალაქარის, დაბა სიონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების და მათი მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების გეგმის პროექტი, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია განხილვის მიზნით გაეგზავნა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას.

სგშ-ის ანგარიში ასევე განიხილეს გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულების და შესაბამისი დარგების სპეციალისტებმა და ექსპერტებმა.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 27-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გაიცეს რეკომენდაცია თიანეთის მუნიციპალიტეტის ჩეკურაანთგორის, სიმონიანთხევის, ხევსურთსოფელის, ღულელების, ნაქალაქარის, დაბა სიონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების და მათი მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების გეგმის პროექტსა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშზე.
2. სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:
    - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და სტანდარტები, მათ შორის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I ან/და II დანართით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების შემთხვევაში დაცული იქნეს კოდექსის მოთხოვნები. ასევე, „ტყის კოდექსის“ და „წყლის შესახებ“ საკანონმდებლო აქტების მოთხოვნები.
    - ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების, ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად.
    - დოკუმენტის ჰიდროლოგიური ნაწილი უნდა მოიცავდეს მხოლოდ საპროექტო არეალში არსებული მდინარეების ჰიდროლოგიას. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, ჰიდროლოგიურ ნაწილში გაანგარიშებულია მაქსიმალური ხარჯები, თუმცა სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი მახასიათებლები, რომლის საფუძველზეც ჩატარდა გაანგარიშება. არ არის წარმოდგენილი მდინარეთა მრავალწლიური ჩამონადენი. მოსაწესრიგებელია წყლის მაქსიმალური ხარჯების გამოსათვლელი ფორმულები. ანგარიშში მრავლადაა შეცდომები და უზუსტობები: „ციფრული ამაღლების მოდელი“, „მდინარე დაოლე“, მდინარე „ლორი“, „საშუალო გრადიენტი 2,86%“, „კაშხალი დალაგებულია“, „სოფელი ხასმი“, „მდინარე სიონის აუზი“, „სიონის კაშხალი მდებარეობს მდინარე ლორში“ და სხვ. ამასთან, ანგარიში გადატვირთულია გამეორებებით. შესაბამისად მთლიანი ჰდროლოგიური ნაწილი საჭიროებს გადახედვასა და გამართვას.
    - საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს დაგეგმარებას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე არსებული ხევების ღვარცოფულ ბუნებაზე.
    - სგშ-ს ანგარიშის მიხედვით ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით ერთ-ერთ შემარბილებელ ღონისძიებად განხილულია სიონის წყალსაცავის სამხრეთ-დასავლეთით არსებული ტერიტორიის ლანდშაფტურ ტყე-პარკად ჩამოყალიბება და მისი დაკავშირება თბილისის ეროვნულ პარკთან მწვანე სარტყლის საშუალებით. საჭიროა აღნიშნული ხელოვნური გატყიანების ღონისძიება განხორციელდეს შესაბამისი ტერიტორიისა და/ან ტყის მართვის ორგანოსთან შეთანხმებით. ხელოვნური გატყიანებისას საქმიანობის განმახორციელებელმა დაუშვებელია გამოიყენოს არაადგილობრივი სახეობები.
    - ხელოვნური გატყიანების ღონისძიებისათვის უნდა შემუშავდეს შესაბამისი გეგმა, ხოლო გეგმაში ერთ-ერთ პუნქტად გათვალისწინებული უნდა იყოს ხელოვნური გატყიანების პროცესის ეფექტიანობის მონიტორინგი, რომელიც განსაზღვრავს დაკვირვების პერიოდულობას, მეთოდოლოგიასა და პასუხისმგებელ სუბიექტებს. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მოხდეს ხელოვნური გატყიანების მეთოდებისა და მოვლის გეგმის კორექტირება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ლანდშაფტური ტყე-პარკის წარმატებული ჩამოყალიბება და გრძელვადიანი შენარჩუნება.

- საპროექტო არეალის საზღვრის დაკორექტირების შედეგად მიმატებულ ტერიტორიაზე უნდა განისაზღვროს სივრცითი კატეგორიებისა და ეგზოგეოდინამიკური საფრთხეების ზონები.
- საპროექტო არეალის საზღვრის დაკორექტირების შედეგად მოკლებულ ტერიტორიაზე, Shp ფაილების მიხედვით ფიქსირდება შერეული დანიშნულების სარეზერვო D არეალი (გდგ-ის არეალი), რომელიც უნდა დაკორექტირდეს ახალი საზღვრის შესაბამისად.
- სგშ-ის ანგარიშში დაზუსტდეს სტრატეგიული დოკუმენტის რევიზიასთან დაკავშირებული საკითხები;
- გარემოსდაცვითი მონიტორინგის ჩატარება და შედეგები თანხვედრაში იყოს სტრატეგიული დოკუმენტის რევიზიასთან;
- რევიზიის დროს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების სრული ანალიზისთვის სასურველია მონიტორინგს დაექვემდებაროს, ჰაერზე, ხმაურზე, სასმელ და ზედაპირულ წყალზე, ბიოლოგიურ გარემოზე მონიტორინგის შესაბამისი ინდიკატორები და სამონიტორინგო წერტილები;
- მხედველობაშია მისაღები, რომ მონიტორინგი უნდა აწარმოოს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა ორგანომ.

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. დღის ვადაში ბრძანება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფასა და ოფიციალურ ვებგვერდზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის .მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/763-21-4-202512101502

ელექტრონული ხელმოწერა/QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE